თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2019 წლის 30 დეკემბრის სხდომის ოქმი N18

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 30 დეკემბერს შედგა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია სულ 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 21 წევრი

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/დეკანის მოადგილე,ასოცირებული პროფესორი მ.ჩავლეიშვილი/

2. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის შემფასებლების, კომისიის, სადისერტაციო თემებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2020 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად კონკურსის პირობებსა და ჩატარების წესის შესახებ

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი   გ.ღაღანიძე/

5. მიმდინარე საკითხები

მოისმინე: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, პროფესორ გიორგი ღაღანიძის ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

პროფესორმა გ.ღაღანიძემ აღნიშნა, რომ საკითხს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების-ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ,დეკანის მოადგილის, ასოცირებული პროფესორის მ.ჩავლეიშვილის ნაცვლად, გამოიტანს სასწავლო პროცესების მართვის სამსახური უფროსი სპეციალისტი  ე. კვირკაშვილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 30 დეკემბრის N18 სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი ცვლილების გათვალისწინებით:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის

ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/სასწავლო პროცესების მართვის სამსახური უფროსი სპეციალისტიე. კვირკაშვილი/

2. თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის შემფასებლების, კომისიის, სადისერტაციო თემებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების დამტკიცების საკითხი

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურსი უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ. ლობჟანიძე/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2020 წლის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად კონკურსის პირობებსა და ჩატარების წესის შესახებ

/ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გ.ღაღანიძე/

5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების დადგენა/აღდგენის შესახებ

/სასწავლო პროცესების მართვის სამსახური უფროსი სპეციალისტი ე. კვირკაშვილი/

ქალბატონ ელისო კვირკაშვილმა საბჭოს მოახსენა,რომ თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა (წერილები: №24233/10, 11.12.2019, №24419/10, 13.12.2019 და №24933/10, 19.12.2019) მოითხოვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ალიბეგაშვილისთვის და ლევანი კუჭავასთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ ბაკალავრაიტის სპეციალობათა ჩამონათვალთან. საქმის შესწავლისას აუცილებელი გახდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად კურსდამთავრებულის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

გიორგი ალიბეგაშვილის და ლევანი კუჭავას სახელზე უნდა მომზადდეს დიპლომები და დიპლომის დანართები, რომელებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №216/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებულო აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის

ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმისგარემოებების გათვალისწინებით საქართველოს კანონდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმისგარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დადგინდა შემდეგი:

1. გიორგი ალიბეგაშვილი2002 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დაუსწრებელი სწავლების სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/1070, 17.09.2002). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 253 კრედიტი და «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 20 ოქტომბრის №1628/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ალიბეგაშვილს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სახელმწიფო მოხელის კვალიფიკაციით.

2007-2008 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN011253 (სარეგისტრაციო №011253) რეგისტრირებულია გიორგი ალიბეგაშვილის სახელზე.

«ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 20 ოქტომბრის №1628/01-04 ბრძანების საფუძველია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის წარდგინება (№9804/02, 19.06.2008), რომლის საფუძველზეც გიორგი ალიბარაშვილთან ერთად აკადემიური ხარისხი მიენიჭა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის სხვადასხვა სპეციალობის კურსდამთავრებულებს. კერძოდ:

- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა:
  - სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობის 3 კურსდამთვრებულს სახელმწიფო მართვის მოხელის კვალიფიკაციით;
  - ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის 6 კურსდამთავრებულს მენეჯერის კვალიფიკაციით;
  - ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2 კურსდამთავრებულს ფინანსისტის კვალიფიკაციით;
  - მატერიალური რესურსების მართვის და საბირჟო საქმის სპეციალობის 2 კურსდამთვრებულს მატერიალური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით;
  - ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით.

- მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა:
  - მაკროეკონომიკის სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს ეკონომისტის კვალიფიკაციით;
  - ეკონომიკის სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით.

2. ლევან კუჭავა 2003 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/852, 2.08.2003). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაპოვებლად აითვისა 272 კრედიტი და «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2007 წლის 2 ნოემბრის №1425/01-04 ბრძანებით მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ლევანი კუჭავას მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით.

2007-2008 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი BN°005747 (სარეგისტრაციო №005747) რეგისტრირებულია ლევან კუჭავას სახელზე.

«ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის ბრძანებებით (№1425/01-04, 2.11.2007 და №1628/01 04, 20.10.2008) მინიჭებული კვალიფიკაცია (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი) არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18

ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გიორგი ალიბეგაშვილისთვის და ლევანი კუჭავასთვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების საკითხს დააყენებს უახლოეს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ირკვევა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2007 წელს მოქმედებდა ორი საატესტაციო კომისია: ეკონომიკის მიმართულებით და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ფაკულტეტზე მოძიებული 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები არის ზოგადი სახის. კერძოდ, ამ ოქმებში არ არის მითითებული იმ სტუდენტთა გვარები, რომელთაც მიენიჭათ ბაკალავრის ხარისხი. ასევე, არ იძებნება 2008 წელს წარმოებული კვალიფიკაციის მინიჭების საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები 2007 წლის კურსდამთვრებულთათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ ნომრის პირობითობის აღსანიშნავად დაემატება ასო „პ".

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები, მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დაადგინა, რომ აღდგენილად ჩაითვალოს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია:

- «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 20 ოქტომბრის №1628/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ალიბეგაშვილისთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვრს *2008 წლის 20 ოქტომბერი* და ოქმის ნომრად *№1628/3*;
- «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2007 წლის 2 ნოემბრის №1425/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ლევანი კუჭავასთვის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვრს *2007 წლის 2 ნოემბერი* და ოქმის ნომრად *№1425/3*;
- ზემოაღნიშნული პირობები გავრცელდეს «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 20 ოქტომბრის №1628/01-04 და 2007 წლის 2 ნოემბრის

№1425/01-04 ბრძანებებში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე *<u>(იხ. 1. «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის ბრძანება №1628/01-04, 20.10.2008; 2. «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის ბრძანება №1425/01-04, 2.11.2007)</u>* და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ე. ხარაიშვილი/

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილებით (№24233/10, 11.12.2019 და №24419/10, 13.12.2019) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ალიბეგაშვილის დიპლომის დანართი და არასწორად მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ არქივიდან წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ გიორგი ალიბეგაშვილი 2002 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების დაუსწრებელი სწავლების სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის

სპეციალობაზე (ბრძანება №4/1070, 17.09.2002). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 253 კრედიტი და «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 20 ოქტომბრის №1628/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ალიბეგაშვილს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სახელმწიფო მოხელის კვალიფიკაციით.

«ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 20 ოქტომბრის №1628/01-04 ბრძანების საფუძველია ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის წარდგინება (№9804/02, 19.06.2008), რომლის საფუძველზეც გიორგი ალიმბარაშვილთან ერთად აკადემიური ხარისხი მიენიჭა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2007 წლის სხვადასხვა სპეციალობის კურსდამთავრებულებს. კერძოდ:

- ბიზნესის ადინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა:
  - სახელმწიფო მართვის მოხელის კვალიფიკაციით სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობის 3 კურსდამთვრებულს;
  - მენეჯერის კვალიფიკაციით ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის 6 კურსდამთავრებულს;
  - ფინანსისტის კვალიფიკაციით ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2 კურსდამთავრებულს;
  - მატერიალური რესურსების მენეჯერის კვალიფიკაციით მატერიალური რესურსების მართვის და საბირჟო საქმის სპეციალობის 2 კურსდამთვრებულს;

- საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს.

➢ მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა:

- ეკონომისტის კვალიფიკაციით მაკროეკონომიკის სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს;
- ეკონომისტ-მათემატიკოსის კვალიფიკაციით ეკონომეტრიკის სპეციალობის 1 კურსდამთავრებულს.

«ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 20 ოქტომბრის №1628/01-04 ბრძანებით 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი) არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე კენჭისყრაზე დააყენა საკითხი: შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2008 წლის 20 ოქტომბრის №1628/01-04 ბრძანება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციასთან. კერძოდ:

- სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულებს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის

აკადემიური ხარისხის" ნაცვლად მიენიჭოთ „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი";

- ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულებს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის" ნაცვლად მიენიჭოთ „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი";
- ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულებს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის" ნაცვლად მიენიჭოთ „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი";
- მაკროეკონომიკის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულებს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის" ნაცვლად მიენიჭოთ „სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი";
- მატერიალური რესურსების მართვა და საბირჟო საქმის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულებს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის" ნაცვლად მიენიჭოთ „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი";
- ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულებს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის" ნაცვლად მიენიჭოთ „სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი";
- ინფორმატიკა ბიზნესში სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულებს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის" ნაცვლად მიენიჭოთ „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი".

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21

წინააღმდეგი 0

დაადგინეს: საბჭომ მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას და დაადგინა:

1. «საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ» საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ გიორგი ალიბეგაშვილს „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის" ნაცვლად მიენიჭოს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი";
2. აღნიშნული ცვლილება განხორციელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2008 წლის 10 ოქტომბრის №1628/01-04 ბრძანებაში მითითებულ სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის, ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსები და საბანკო საქმის, ინფორმატიკა ბიზნესში და მატერიალური რესურსების მართვისა და საბირჟო საქმის სპეციალობების 2007 წლის კურსდამთავრებულებზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდეს ინდივიდუალური მიმართვის შემთხვევაში;
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ თსუ რექტორის 2008 წლის 10 ოქტომბრის №1628/01-04 ბრძანებაში მითითებულ მაკროეკონომიკისა და

ეკონომიკური კიბერნეტიკის სპეციალობების 2007 წლის კურსდამთავრებულებს მინიჭებული „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის" ნაცვლად მიენიჭოთ „სოციალური მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი" და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მიმართვის შემთხვევაში.

**მოისმინეს:** თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მომხსენებელი ე. ხარაიშვილი/*

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№24933/10, 19.12.2019) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ბაკალავრიატის 2007 წლის კურსდამთავრებულ ლევან კუჭავასთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და თსუ არქივიდან წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ ლევან კუჭავა 2003 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების დასწრებული სწავლების მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე (ბრძანება №4/852, 2.08.2003). ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აითვისა 272 კრედიტი და «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2007 წლის 2 ნოემბრის №1425/01-04 ბრძანებით მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2007

წლის კურსდამთავრებულ ლევანი კუჭავას მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით.

«ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2007 წლის 2 ნოემბრის №1425/01-04 ბრძანების საფუძველია ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის წარდგინება (№16088/02, 26.10.2007), რომლის საფუძველზეც ლევანი კუჭავასთან ერთად ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბუღალტრის კვალიფიკაციით მიენიჭა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთვრებულ კონსტანტინე კურტანიძეს.

«ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2007 წლის 2 ნოემბრის №1425/01-04 ბრძანებით 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი) არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას.

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის ბრძანებით (№1425/01-04, 2.11.2007) 2007 წლის კურსდამთვრებულებისთვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შეცვლასთან

დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად. კერძოდ;

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულს ლევანი კუჭავას მინიჭებული ხარისხის „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით" ნაცვლად მიენიჭოს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით"
2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულს კონსტანტინე კურტანიძეს მინიჭებული ხარისხის „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების ბუღალტრის კვალიფიკაციით" ნაცვლად მიენიჭოს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბუღალტრის კვალიფიკაციით"

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის №633 ბრძანების შესაბამისად შესწორდეს «ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ» თსუ რექტორის 2007 წლის 2 ნოემბრის №1425/01-04 ბრძანება.

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მეწარმეობის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ლევანი კუჭავას ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით“ მიენიჭოს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი წარმოების მენეჯერის კვალიფიკაციით“;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ კონსტანტინე კურტანიძეს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბუღალტრის კვალიფიკაციით“ მიენიჭოს „ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ბუღალტრის კვალიფიკაციით“.

**მოისმინეს:** თსუ კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ.

*(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მომხსენებელი ე. ხარაიშვილი)*

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№24916/10, 19.12.2019) თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთვრებულ მაია ქურდიანის დიპლომის დანართი, რომლის მომზადების დროს საჭირო გახდა კურსდამთავრებულისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირება.

აღნიშნულსაკითხთანდაკავშირებითჩატარდაადმინისტრაციულისაქმის წარმოებადათსუსასწავლოპროცესისმართვისდეპარტამენტისმიერწარმოდგენილისაარქივომასალებისსაფუძველზედადგინდა, რომ მაია ქურდიანი 2001 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ეკონომიკის

ფაკულტეტის დასწრებული სწავლების აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 2.08.2001).

ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 8 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №5) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის დღის (საბიუჯეტო) სწავლების აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობის კურსდამთავრებულ მაია ქურდიანს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტისკვალიფიკაციით და მიეცა დიპლომი წარჩინებით.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით BII№000831 (სარეგისტრაციო №01/3822) რეგისტრირებულია მაია ქურდიანის სახელზე,რომელშიც აღნიშნულია შემდეგი: „მაია ქურდიანი 2001 წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკ ლავრიატის სრული კურსი სპეციალობით აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი. ფაკულტეტის 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ეკონომისტის კვალიფიკაცია“.

მაია ქურდიანის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმით (№5, 8.06.2005) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/611, 8.07.2005) მინიჭებულ ხარისხთან.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია 2005 წელს თსუ-ს მიერ გამოცემული საცნობარო ხასიათის გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას ინსტიტუციური აკრედიტაციის მიხედვით - 2004 წლის ბოლოსთვის. ცნობარიდან ჩანს, რომ ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატში „აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის" სპეციალობის კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაია ქურდიანის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის (BH №000831 (სარეგისტრაციო №01/3822) შესაბამისად უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულებს ნაცვლად „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაცია" მიენიჭოთ „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაცია".

ქალბატონმა ე. ხარაიშვილმა საბჭოს მიმართა თხოვნით, რათა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტის სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005) გადაწყვეტილებით მაია ქურდიანს მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომში მითითებულ ხარისხთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის აღრიცხვა, კონტროლი აუდიტის სპეციალობაში

